N N 1-112 F288 N13043

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. | წელიწადი პირველი. | ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

შაბათი, 3 აგვისტო, 1918 წ.

# შრომა

№ 1

ნომრის ფასი 40 კაპ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება კანონპროექტი საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღების შესახებ. ხონის რაიონში თავი იჩინა ანარქიამ. გენ. სუმბათაშვილი იუწყება მთავრობის ჯარის ტყიბულის ფრონტზე და ოსეთის სამხ. გზაზე გამარჯვების შესახებ.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлис Контора Газ. „Шрома", Чавчавадзевская ул. Софiйская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.
**რედაქციის მისამართი:** *Тифлис Редакція газ. „Шрома" Чавчавадзевская ул. Софiйская школа.*

**ქ. თფილისი, 3 აგვისტო.**

დღეს პირველათ გამოდის ჩვენი ცენტრალური ორგანო. ზოგიერთებისთვის მისი გამოსვლა მოულოდნელი იქნება, ბევრი კი მას უკვე კარგა ხანია უცდის. ეს აიხსნება მრავალი იმ მოვლენებით და ამბებით, რომლებიც საზოგადოებრივ და პარტიულ ცხოვრებაში წინ უძღოდა საქართველოში მომქმედი ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გამოსვლას. ჩვენი პარტიის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში თავიდან არ ყოფილა განხეთქილება, მაგრამ პარტიული ცხოვრება მაინც არ მიმდინარეობდა საფუძვლიანად. ბაქოს ორგანიზაციამ ფაქტიურად კარგა ხანია თითქმის სავსებით გასწყვიტა კავშირი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებთან. ბაქოს ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეხუთე საოლქო ყრილობის მუშაობაში, შემდეგ კი არც მე-6 და არც მე-7 ყრილობებზე მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, რასაც, სხვათა შორის ხელს უწყობდა რკინის გზებზე არევ-დარევა და მიმოსვლის შეფერხება. შემდეგ, როგორც მკითხველებმაც იციან, ბაქოს ორგანიზაციამ წინააღმდეგ პარტიისა, აღიარა ბოლშევიკთა მთავრობა და მით უფრო დაშორდა იდეურად და პრაქტიკულად ამიერ-კავკასიის დანარჩენ ორგანიზაციებს. მეორეს მხრით თვით ამ ორგანიზაციებს თავიდან დაეტყო ორად დაყოფა: დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები მცირე გამოკლებით **მარცხნით** იდგნენ, ხოლო აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები **მარჯვნით**. ამ ორ მიმდინარეობათა შორის იყო ხშირად განსხვავება აგრეთვე ადგილობრივ საკითხების გაშუქება-გაგებაში და სხვ.

მეშვიდე ყრილობაზე, რომელსაც ვერ დაესწრნენ: ქუთაისის, სოხუმის ოლქის და ბაქოს ორგანიზაციების წარმომადგენელნი, თბილისის ორგანიზაციის მეთაურობით მოხდა ფორმალური განხეთქილება არა პრინციპიალურ ნიადაგზე: ყრილობამ, რომელმაც თავის თავი **თათბირად** აღიარა ამოირჩია მეორე საოლქო კომიტეტი. ორმა საოლქო კომიტეტმა იწყო პარტიული მუშაობის და პოლიტიკის ხელმძღვანელობა. მაგრამ მომქმედი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა არ იზიარებ და არც პირველის და არც მეორე საოლქო კომიტეტის ტაქტიკას. ამნაირად პარტიაში არევ-დარევა უფრო გაძლიერდა. დაახლოვებით ამ დროს მოხდა ამიერ-კავკასიის რუსეთიდან ჩამოშორება, შემდეგ ამიერ-კავკასიის მთლიანი დემოკრატიული ფრონტიც დაირღვა და სხვადასხვა რესპუბლიკები გამოცხადდა. პარტიულ ბანაკში ყველა ამ ამბებმა მეტად გააძლიერა აზრთა სხვადასხვაობა.

საქართველოში არსებული ორგანიზაციების მდგომარეობა განსაკუთრებული შეიქნა.

თბილისში არსებული საოლქო კომიტეტები არც ტერიტორიალურად და არც არსებითად არ გამოხატავდნენ ამ ორგანიზაციების უმრავლესობის ტაქტიკურსა და პრინციპიალურ შეხედულებებს. ამ გარემოებამ აიძულა ქუთაისის ორგანიზაცია თავის თავზე აეღო ინიციატივა ახალი პარტიული ყრილობის მოწვევისა. ივნისის ბოლო რიცხვებში ქ. ქუთაისში მოხდა საქართველოში არსებულ პარტიულ ორგანიზაციების ყრილობა, რომელსაც დაესწრო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა. ყრილობამ თავის თავი დამფუძნებელ ყრილობათ აღიარა და ამოირჩია „საქართველოში მომქმედი სოც. რევ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი". მაშასადამე, ჩვენი გაზეთი არის საქართველოში არსებულ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ორგანო, მათი ნება-სურვილების კანონიერი და სრულ უფლებიანი გამომხატველი.

იშვიათ პირობებში უხდება ჩვენს გაზეთს გამოსვლა. მომენტი მეტად რთული და საპასუხისმგებლოა.

საქართველოს დემოკრატია განმარტოებული და საერთაშორისო ბრძოლაში დამარცხებული უკანასკნელ ძალებს იკრეფს რევოლიუციის მოპოვებათა შესანარჩუნებლად.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით მის ცხოვრებაში ახალი ფაქტორი შეიჭრა. როდესაც პირველად დაისვა კითხვა: ფედერაცია თუ კონფედერაცია, ჩვენ მხურვალედ ვიცავდით ამიერ-კავკასიის ერების ფედერაციას, ვინაიდან ღრმად გვწამდა და გვწამს, რომ ამ.-კავ. დემოკრატია ერების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მჭიდრო და ძმურ კავშირს რომ მხოლოდ სოლიდარობა და უაღრესი ურთიერთი პატივისცემა და თანაგრძნობა უზრუნველყოფდა მათ პოლიტიკურ თავისუფლებას და ეროვნულ ინდივიდუალობას, მაგრამ წინააღმდეგ ჩვენი სურვილების ამიერ-კავკასიის ერთი მთლიანი რევოლიუციონურ-დემოკრატიული ფრონტი დაიშალა, გამოცხადდა ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკები.

ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ერთეულებათ დაყოფვის მომხრე, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო, რადგან სხვა უკეთესი გამოსავალი არ არსებობდა!

დღეს, როგორც ვსთქვით, საქართველოს დემოკრატია უკანასკნელ ძალებს იკრებს. ის რთულ სახელმწიფოებრივ მუშაობას შეუდგა. ჩვენ რევოლიუციონურ მოვალეობათ მიგვაჩნია მივიღოთ აქტიური მონაწილეობა ამ საამშენებლო მუშაობაში. ჩვენ არ შეგვიძლია პილატესავით ხელი დავიბანოთ, და იქ, სადაც ასე საჭიროა რევოლიუციონური საქმიანობა, განზე გავდგეთ და ჩვენს მშრომელ დემოკრატიას გამხნევებისა და დახმარების მაგიერ წარამარად მოვაგონოთ: Memento mori!.

ჩვენ მხარს დაუჭერთ ყველაფერს, რაც ჭეშმარიტ რევოლიუციონურია, რაც გააძლიერებს ჩვენი დემოკრატიის რევოლიუციონურ პოზიციებს და ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას, ხოლო ყველა იმას, რასაც შოვინიზმის ბეჭედი ექნება, სასტიკად შევებრძოლებით!..

ჩვენი დროშა არის დროშა რევოლიუციონური ინტერნაციონალისა, ჩვენი ორიენტაცია არის ორიენტაცია რევოლიუციონური სოციალიზმისა!..

ჩვენთვის არ არსებობს, „ელინი და იუდეველი". სოციალიზმის იდეები, პიროვნების უფლებანი და ერის თავისუფლება ჩვენთვის განუყრელნი არიან.!..

ჩვენ გვექნება იდეური ბრძოლა უმთავრესად ორ იდეიურ მიმდინარეობასთან. ეს არის რუსეთში ბოლშევიზმი, ჩვენში მენშევიზმი. ორივე დღეს კრიზისს განიცდის ბოლშევიზმი-ეს არის სოციალიზმი უდემოკრატიოთ, მენშევიზმი-ეს არის დემოკრატია უსოციალიზმოთ. ჩვენ უარვყოფთ, როგორც პირველის ავანტიურისტულსა და პოგრომულ" ხასიათს, აგრეთვე მეორესი ოპორტუნიზმსა და ჯგუფურ ავათმყოფობას.

ჩვენი ლოზუნგია: დემოკრატიაც და სოციალიზმიც!

ვიცით: ცხოვრება ულმობელია. ის ხშირად ცინიკურად დასცინის მაღალ იდეალებს. ის სასტიკად გაილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ. მომართავს ინსინუაციებს, შესაძლოა დაეყრდნოს ძალადობას, კომპრომისების ალყას შემოგვარტყამს, მაგრამ ჩვენ არ დავსთმობთ, არ დავიხევთ, შევებრძოლებით!..

* * *

**რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა და კონტრ-რევოლიუცია ჩვენში**

მძიმე დამარცხების შემდეგ, რომელმაც საშინელი ლახვარი ჩასცა ამიერ-კავკასიის ერების სასიცოცხლო ინტერესებს, სტამბოლის კონფერენცია იყო ის პაწია ნაპერწკალი, რომელიც ოდნავ მაინც იძლეოდა იმედს, რომ ამიერ-კავკასიის ერების საერთაშორისო მდგომარეობა რამდენიმედ მაინც გამოირკვეოდა. როგორც ვიცით, მასზე დასასწრებლად უკვე გაემგზავრენ დელეგატები, მაგრამ მის მუშაობის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ისმის.

ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა ქმნის მძიმე ატმოსფერას და იწვევს მწარე ფიქრებსა და შიშს, როგორც საერთაშორისო, ისე შინაურ ჩვენს მდგომარეობაზე.

მართალია, გერმანელებმა არა ერთხელ განაცხადეს, რომ ისინი არ ჩაერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში. ჩვენც გვაქვს საკმაო ფაქტები ასეთი განცხადებების pro et contra. ბისმარკი მომხრე იყო საფრანგეთში დემოკრატიული რეჟიმის: რუსეთში გერმანელები ლენინის მთავრობასთან სრულ კონტაქტში მუშაობენ, მეორეს მხრით გერმანელები ტლანქად ჩაერიენ უკრაინასა და ფინლიანდიის შინაურ ცხოვრებაში და სხვ.

რა ხასიათს მიიღებს გერმანიისა და საქართველოს მეგობრობა, როგორია რესპუბლიკის პოლიტიკური ბედი და საერთაშორისო პერსპექტივები?

საქართველოს რესპუბლიკის და მის ახალი მოკავშირეს მომავალი ურთიერთობის გამოსარკვევათ საუკეთესო ბარომეტრათ უნდა ჩაითვალოს ეროვნული რეაქცია, მისი გამოსვლები და ყოველდღიური ყოფა ქცევა. გერმანელებს აქვსთ ერთი ანდაზა, რომელიც ამბობს: wer A sagt muss auch b sage—ვინც ანი სთქვა, ბანიც უნდა სთქვასო როგორც სჩანს, ეროვნული რეაქცია ეროვნული დემოკრატების სახით მთელ თავის იმედებს სწორედ ამაზე ამყარებს.

ეროვნულ-დემოკრატების ოპოზიციაში გადასვლა და დემოკრატიისა და მის ორგანოების წინააღმდეგ სასტიკი გალაშქრება მრავალი მეტყველი ფაქტია ამ მხრივ... ეროვნული რეაქცია რაღაც ახალი ძალას გრძნობს. მისი გამომწვევი კილო და აშკარა მუქარა შეუძლებელია ავხსნათ ჩვენს საზოგადოებაში მისი ორგანიზაციური და იდეიურ გაძლიერებით.

ეროვნული დემოკრატები—ეს ხომ ის პარტიაა, რომლის მთელი ლაშქარი რამდენიმე ასეული აზნაურებისა, რამდენიმე ათეული ვაჭრებისაგან შესდგება. ის ებღაუჭება ჩვენს ფეოდალურ არისტოკრატიას, რომელიც უკვე კვდება. ამიტომ მას არ აქვს მომავალი.

ასეთ ჯგუფს დარჩენია მხოლოდ ერთად ერთი გზა—ეს არის გზა პოლიტიკური ავანტიურისა.

და ჩვენც ვხედავთ, რომ ეროვნული დემოკრატები კარგა ხანია ამ გზას დაადგენ, მათ მეტად ხელს უწყობს საერთაშორისო ბრძოლაში ჩვენი დამარცხება, ქართველი დემოკრატიის განმარტოება და უცხო ხიშტების სიახლოვე. მათ ზრახვებს ფრთები შეასხა რესტავრაციის ტალღებმა, რომლებმაც დღეს რუსეთის განაპირა ქვეყნებში თითქმის შთანთქეს რევოლიუციის მოპოვებანი. გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში ეროვნული რეაქციონერებმა ახალი სიძლიერე იგრძნონ.

პირდაპირ უნდა ვსთქვათ: ეროვნულ რეაქციონერებს იმედი აქვს, რომ ჩვენს ცხოვრებაში გარეშე ძალა ჩაერევა. 15 და 16 ივნისში ეროვნულ-დემოკრატების გამოსვლა ეროვნულ საბჭოში, აზნაურების პეტაცია შულენბურგისადმი, „კავკასიშე პოსტის" კამპანია საქართველოს ეროვნული საბჭოს წინააღმდეგ და სხვა ყველა ეს ერთი რგოლია, არსებითად ერთი კატეგორიის მოვლენებია. ყველა ამით რეაქციის იდეოლოგია გზას უკაფავს რესპუბლიკისა და მშრომელი ხალხის აშკარა ღალატს. ძველი ფეოდალური საქართველო ცდილობს წაბაძოს უკრაინას, ის ეძებს თავის სკოროპადსკებს, მაგრამ თვით უკრაინაში რეაქციონერებს იმედები უცრუვდებათ. მშრომელ ხალხს, რომელმაც იგემა თავისუფალი ცხოვრება, არ სურს კისერზე დაიდგას ახალი მონობის უღელი. თუ ეს მართალია, რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნებისათვის, მით უფრო მართალი და სწორია ეს საქართველოს რესპუბლიკისათვის. აქ კონსერვატიული ელემენტები ასჯერ უფრო სუსტია, ვიდრე უკრაინაში.

ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ერის $^{9}/_{10}$ სოციალიზმისა და რევოლიუციის დროშის ქვეშ დგას, რეაქციისა და რესტავრაციის ყოველივე ცდა უნაყოფოდ ჩაივლის. ეს უნდა იცოდეს ყველამ'..

ჩვენი მთავრობა ვალდებულია სასტიკად წინააღუდგეს ყველა იმ ცდას, რომლის მიზანი იქნება ჩვენს შინაურ ცხოვრებაში ამა თუ იმფორმით გარეშე ძალების ჩარევა, ვინაიდან wer, A sagt muss auch b sagen!..

ჩვენმა დემოკრატიამ დათმობის მაქსიმუმი უკვე მიიტანა. ერის ფიზიკური არსებობის სამსხვერპლოზე მეტი შეუძლებელია და ყოველივე ცდა ამ მხრივ ვისგან არ უნდა იყოს ის წინააღმდეგ ნაყოფს გამოიღებს.

ამ მოკლე ხანში მოხდა ეროვნულ დემოკრატების კონფერენცია. გაზეთების ცნობით კონფერენციის რეზოლიუციები არ გამოქვეყნდა.

აშკარაა, ეროვნული რეაქცია გენერალური ბრძოლისათვის ემზადება. ის იმუშავებს თავის გეგმებს და ცდილობს თავის კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის გამოიყენოს რესპუბლიკის კრიტიკული მდგომარეობა. ცხადია, კონტრ-რევოლიუციის ასეთ მუშაობას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ უხლრესი რევოლიუციონური საქმიანობა და იშვიათი პოლიტიკური სიფხიზლე...

ამას გვავალებს საერთაშორისო და შინაური ჩვენი მდგომარეობა.

ფიზიკური სიკვდილისაგან ერის გადარჩენა იყო მთავარი მოტივი ხელმძღვანელ წრეების უკანასკნელი დროის პოლიტიკისა.

დღეს ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ პოლიტიკური ხელშეუხებლობა და თავისუფლების გარეშე ჩვენი ერის ფიზიკური არსებობა შეუძლებელია!..

## ანარქია საქართველოში.

დღეს ძალიან ბევრსა სწერენ ჩვენში ანარქიის გაძლიერების შესახებ. მართლაც ისეთი მკაცრი და დაჟინებითი ხასიათი მიიღო ხალხის მოძრაობამ ჩვენში, ისე სისტემატიურათ იფეთქებს ხოლმე ამბოხება ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში, რომ არ შეიძლება მას ჯეროვანი ყურადღება არ ექნეს მიქცეული: უნდა იქნას მიღებული განსაკუთრებული და გონივრი ზომები ამ არევ-დარევის მოსასპობათ და დემოკრატიული წესების გასამტკიცებლათ. ამაში ყველა თანახმაა, მაგრამ თუ როგორი უნდა იყოს ეს ზომები და საშვალებები, რომლებიც ხალხს დააწყნარებენ და შესაძლებელ შექმნიან შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღებას, ამის შესახებ ყველა ერთნაირათ არ აზროვნობს. როგორი უნდა იყოს ხალხის დაწყნარების საშვალებები? სანამ ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროა გავიგოთ თუ რა ხასიათისაა დღევანდელი მოძრაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მართლაც, თუ ის კონტრ-რევოლიუციონურია, როგორც ეს ბევრს გონია, მაშინ მის წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული სასტიკი ზომები. და თუ ის ასეთი არ არის, მაშინ სხვა ზომები და საშვალებები უნდა გამოვსძებნოთ. ყოველი მოძრაობა დახასიათდება იმ ლოზუნგებით, იმ მოთხოვნილებებით, რომლებიც მას ასულდგმულებენ. შეიძლება ამ მოძრაობას შედეგათ კონტრ-რევოლიუციის გამეფება მოყვეს, მაგრამ მოძრაობას იმის მიხედვით კი ვერ დავარქმევთ სხვა სახელს, თუ რა ფატალურ შედეგს მოგვცემს, არამედ იმის მიხედვით უნდა მოინათლოს, თუ რას ემსახურება, რა ამოქმედებს, რა ასულდგმულებს მას. 1905 წლის მოძრაობას სასტიკი რეაქცია მოყვა, მაგრამ არც ერთს ჭკუათამყოფელს არ მოსვლია აზრათ ამ მოძრაობის რეაქციონურ მოძრაობათ მონათვლა. ჩვენ წინდაწინ ვიცოდით, რომ ბოლშევიკური მოძრაობა რუსეთში ნიადაგს მოუმზადებდა კონტრ-რევოლიუციას, მაგრამ ეს მოძრაობა მაინც არ იყო კონტრ-რევოლიუციონური. აი მაგ. ლენინს რომ დაეწერა დროშაზე თვითმპყრობელობა და ხალხი მას გაყოლოდა, მაშინ ეს მოძრაობა იქნებოდა კონტრ-რევოლიუციონური. მაგრამ მან პირიქით თავის დროშაზე სოციალიზმი დააწერა და სოციალიზმის სახელით დაწყებული მოძრაობა როგორ შეიძლება კონტრ-რევოლიუციონური იყოს? ერთი სიტყვით ყოველი მოძრაობა უნდა იქნეს სახელ-წოდებული იმ სულის კვეთების მიხედვით, რომელიც მას ასულდგმულებს. ახლა მივუდგეთ ამ საზომით და განვიხილოთ ჩვენში დატრიალებული „ანარქიას". როგორც ვიცით, რევოლიუციამ წამოაყენა ლოზუნგი: „მიწა და თავისუფლება". და ყოველი მოძრაობა, იქნება ის შეგნებული თუ სტიქიური, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება და დაცვა არის რევოლიუციონური, პირიქით ყოველი მოძრაობა, რომელიც აშკარათ მიმართულია ამ ლოზუნგის წინააღმდეგ, არის კონტრ-რევოლიუციონური. ამიტომ ეროვნულ დემოკრატების გამოსვლები, რომლებიც მოითხოვენ სასტიკ რეპრესიებს, სასტიკ ცენზურას, მიწის კანონის გაუქმებას—არიან მიმართული სწორეთ „მიწისა და თავისუფლების წინააღმდეგ, და მაშასადამე ისინი არიან კონტრ-რევოლიუციო-

ონური გამოსვლები. და რომ ჩვენი ხალხი დარაზმული იყოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ, მას მიყვებოდეს და ანარქიას ახდენდეს, მაშინ ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ალვიაროთ, რომ ეს არის მოძრაობა კონტრ-რევოლიუციონური. ახლა ვიკითხოთ, რა ასულდგმულებს დუშეთ-სამეგრელო-ლეჩხუმის მოძრაობას? მთავრობის პარტია და მასთან ეროვ. დემოკრატები ყველაფერში ბრალსა სდებენ ბოლშევიკებსა ოსმალოთა აგენტებს, სომხის პროპოგანდისტებს და ოსებს. მაგრამ საკითხავია, თვით ქართველი ხალხი რამ გაასულელა ისე, რომ აყოლია ამ საქართველოს მტრებს. აკი ქართველი ხალხი ითვლებოდა ავანგარდათ რევოლიუციონურ ბრძოლაში! აკი ამ ქართველმა ხალხმა სულ პირველ ნუმერს მისცა ხმა? ახლა რა მოხთა? ნუ თუ ეს მოწინავე ქართველი მშრომელი ისე გასულელდა, ისე დაკარგა გონება, რომ ვერ არჩევს მტერსა და მოყვარეს? ჩვენთვის გასაგები იქნებოდა, კულტურულ ხალხს რომ უკულტურო გაებრიყვებია მაგრამ გაუგებარია, როგორ მოხთა, რომ უკულტურო ოსებმა კულტურული ქართველობა გააბრიყვა და იარალი აალებია თავისი ინტერესების დამცველი მთავრობის წინაალმდეგ?! რასაკვირველია, უთუოთ ბევრს მუშაობენ ოსმალეთის აგენტები, რომელთაც მიზნათ დაუსახავს ჩვენში ანარქიის გაძლიერება, რაც ოსმალეთს საბაბს მისცემს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს და ბოლოს სულ დაგვიპყროს. მაგრამ თვით ხალხი რათ აყოლია ამ იუდებს? თუ კი ამდენ ხანს ახლოსაც არ იკარებდა რეაქციონერებსა და ხალხის მტრებს, დღეს როგორლა შესძლეს ამ უკანასკნელებმა ჩვენი ხალხის გადაბირება? აი ასე უნდა დაისვას საკითხი და როდესაც ამაზე მოგვცემენ დაკმაყოფილებელ პასუხს, მაშინ შეიძლება ვსთქვათ, რომ გაბატონებულ პარტიას ნათლათ აქვს წარმოდგენილი დღევანდელი მდგომარეობა. მარტო ცალიერი განცხადება რომ ხალხი შეუგნებელია და ვერ ერკვევაო, არაფერს ამტკიცებს. ნოემბერში თუ იყო შეგნებული, ახლა რათ დაკარგა ეს შეგნება? ჩვენი აზრით, საქმე სულ სხვანაირათ არის. ამასთან ვფიქრობთ, რომ ყველა ხალხური მოძრაობა მოითხოვს მეტს დაკვირვებას, შესწავლას და მის მოსასპობათ უფრო მიზან შეწონილ ზომების გამონახვას. ასე ხომ თვითმპყრობელობაც ებრძოდა ხალხის გამოსვლებს. ანარქია, კრამოლა, ღალატი, ბუნტი. ეს ხომ თვითმპყრობელობის შეთხზული სიტყვებია. დემოკრატიულმა მთავრობამ სხვანაირი ახსნა უნდა გამონახოს და სულ სხვა საშვალებით უნდა ებრძოლოს ხალხის გამოსვლებს. დიახ ანარქიაა. მაგრამ რა არის მიზეზები ამ ანარქიისა, რა ასულდგმულებს მას? როიალისტურია ეს მოძრაობა, კონტრ-რევოლიუციონურია იგი თუ სხვანაირი? აი ამ კითხვებზე უნდა მივიღოთ პასუხი. პასუხი სწორი და მიუდგომელი. როგორც ზევით ვსთქვი, რევოლიუციამ წამოაყენა ლოზუნგი: „მიწა და თავისუფლება“. მთელი მიწა მშრომელ ხალხს, მთელი თავისუფლება ყველას. ხალხს ეგონა, რომ ერთიცა და მეორეც მიანიჭა მას რევოლიუციამ და ახლა იბრძვის მათ დასაცავათ. გავიხსენოთ რით დაიწყო ლეჩხუმში მოძრაობა. ხალხი მოითხოვდა კომისრების გადაყენებას, ვინაიდგან მათ ბრალსა სდებდა ფულების გაფლანგვაში და სხვა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენათ მართალი იყო ეს ბრალდება.

შეიძლება ის უსაფუძვლო იყო, მაგრამ დემოკრატიული მთავრობა ვალდებული იყო გაეგზავნა ადგილზე თავისი რწმუნებულები და გამოერკვია ეს გაუგებრობა. და თუ ხალხი დაჟინებით მოითხოვდა მოხელეების გამოცვლას, დემოკრატიულ მთავრობას ამისთვის ანგარიში უნდა გაეწია და ხალხის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია? ვინაიდგან ხალხის ბატონობა რევოლიუციის მონაპოვარია. ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ კი მის მაგიერათ, რომ ეს საქმე გამოერკვია და ხალხის მოთხოვნილებისათვის ანგარიში გაეწია, ტყვიის მფრქვევლები გაგზავნა ლეჩხუმში. ამან ხალხი დააფრთხო და იარალისთვის მოაკიდებია ხელი. მთავრობამ მთელი მაზრა კონტრ-რევოლიუციონურათ მონათლა და კანონს გარეშე გამოაცხადა. და მთელი მაზრა ამით ისარგებლეს ბნელმა ძალებმა და ხალხი ფეხზე დააყენეს. ასეთივე იყო მიზეზი მოძრაობისა სამეგრელოში. ხალხს არც იქ მისცეს საშვალება არა სასურველი კომისრების გამოცვლისა. ხალხის უკმაყოფილებას იარაღით უპასუხეს, ხალხი დააფრთხეს და გადიმტერეს. მიუხედავათ იმისა, რომ მთელი სამეგრელო კარგათ იცნობდა ს. თოლორდავას, რომელიც ისე სძულდათ, რომ თვით სოც. დემოკრატებშიც პროტესტი გამოიწვია მისმა დანიშვნამ, მიუხედავათ ამისა ეს გმირი თოლორდავა მაზრის კომისრათ დანიშნეს ზუგდიდში. მანკი აკრძალა თავისუფლება სიტყვის, წერის, კრების: სამი კაცი ერთად თავს ვერ შეიყრიდა მისი ბრძანებით.

სალმა ელემენტებმა არ მოისურვეს მასთან თანამშრომლობა და სამსახურს თავი დაანებეს, თვით სოც. დემოკრატებმაც. ამას შემდეგ ზუგდიდის მაზრა შეიქნა თოლორდავასთა და ძმათა მისთა სათარეშო ასპარეზი. ამან გამოიწვია ხალხის მოძრაობა. ხალხმა იარალს ხელი მოჰკიდა და იწყო ბრძოლა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავათ. ასეთივე ხასიათისაა ხალხის მოძრაობა სხვა კუთხეებშიაც დუშეთის დელეგაციამ ასე მოახსენა გუბერნიის კომისარს: ჩვენ გვითხრეს რომ იარალს იმისთვის ბოჭვენ რომ მერმე მიწები წაგართვან და თავადებს დაუბრუნონო. როგორს აქედგან სჩანს, ხალხი დიდათ აფასებს რევოლუციის მონაპოვარს. მიწასა და თავისუფლებას, ის კანკალებს მისთვის, და ეჭვით უყურებს მთავრობის გაურკვეველ და ზოგჯერ ანტი დემოკრატიულ პოლიტიკას და იბრძვის ამ მონააპოვართა დასაცავათ. ეს არ არის კონტრ-რევოლიუცია. ეს რევოლიუციის დაცვაა და ამიტომ ამ გამოსვლების წინაალმდეგ ყოველნაირი ზომები დასაშვები არ არის. მარტო ხიშტებით და ტყვიის მფრქვეველებით მოქმედება არ კმარა.

საჭიროა, რომ მთავრობამ უარყოს მერყევი პოლიტიკა, რომ მან შეუდგეს ფართო სოციალური რეფორმების განხორციელებას, რათა მშრომელმა ხალხმა იგრძნოს, რომ მთავრობა სწორეთ მისი მთავრობაა, რომ მისი ინტერესების დამცველია. ფართო რეფორმები საუკეთესო საშვალებაა ხალხის უკმაყოფილების მოსასპობათ და სწორეთ აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი მთავრობის ყურადღება. თუ კი ხალხი საქმით და არა მარტო სიტყვით დაინახავს, რომ მთავრობა მისი ინტერესების დამცველია, რომ მთავრობა არის რევოლუციონური, რომ იმ წინუძღვის ხალხს მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაშინ ოსმალოს აგენტებსა და კონტრ-რევოლუციონერებს არავითარი გასავალი არ ექნება და ანარქიასაც ბოლო მოეღება. ფართო რეფორმები და როვოლიუციონური შემოქმედება აი რა მოუღებს ჩვენში ბოლოს ანარქიასა და არევ დარევას და განამტკიცებს როვოლიუციონურ წესრიგს, რაც აუცილებელი პირობაა დემოკრატიულ სახელმწიფოს ასაშენებლათ და გასაძლიერებლათ. თუ როგორი უნდა იყოს ეს რეფორმები ამაზე შემდეგ.

ფარი.

# გერმანია და საქართველო

ოსმალეთთან ომში დამარცხებამ გვაიძულა ჩვენ მიგვეღო გერმანიის პროტექტორიატი, რათა ამით თავი დაგვეხწია ოსმალთა ურდოების შემოსევისაგან. ეს კავშირი იძულებითი იყო, მაგრამ აუცილებელი, რომ გადაგვერჩინა ჩვენი ხალხი ფიზიკურ განადგურებისაგან მაინც.

ხელშეკრულებაში არ არის ნათქვამი, რომ გერმანეთი ჩაერევა ჩვენ შინაურ საქმეებში. და მართლაც. პირველი შეხედვით მას არ უნდა აინტერესებდეს ჩვენი შინაური საქმეები.

გერმანეთს ჩვენ მხარეში უწინარეს ყოვლისა ეკონომიური მიზნები აქვს და შემდეგ სტრატეგიული. ცხადია— გერმანეთი შეუდგება საქართველოში საახალშენო პოლიტიკის წარმოებას. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა მეტათ ცუდ პერსპექტივებს უმზადებს ჩვენ ნორჩ რესპუბლიკის მომავალ ეკონომიურ ცხოვრებას.

მეორეს მხრივ გერმანეთს სურს შექმნას საერთოდ ამიერ-კავკასიაში ისეთი სტრატეგიული ბაზა, საიდანაც ის დაიწყებს შეტევას ინგლისელების წინაალმდეგ.

ამ ორ მიზანს გერმანეთის მთავრობის წარმომადგენლები არც მალავენ და ამას აშკარათ ალიაოებენ. რაც შეეხება ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებას, ისინი ირწმუნებიან, რომ გერმანეთს არა აქვს მიზნათ ჩაერიოს ჩვენ პოლიტიკურ საქმეებში. და მართლაც. გერმანეთისთვის ჯერჯერობით მაინც ხელსაყრელი არაა ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიოს. ამისთვის მას საკმაო შეიარაღებული ძალა დაჭირდება, რადგან აქ შიგნით არ მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომლებზედაც მას დაყრდნობა შეეძლოს დემოკრატიულ წყობილებასთან ბრძოლაში. ბევრი ჯარების გადმოსხმა კი ამ მიზნისთვის მისთვის არც ისე იოლია.

ასეთია საერთო ლოლიკა, მაგრამ იმპერიალიზმს თავისი ლოლიკა აქვს. ის ხშირათ ვერ ხედავს ან არ ხედავს სინამდვილეს და თავისი გზით, ეგებ არა მიზანშეწონილათ, მაგრამ მაინც მიდის. ამიტომ ყველაფერს უნდა მოველოდეთ. ყოველ შემთხვევაში, მრავალი მაგალითები ჩვენ თვალწინ სდგას და რომ არ განმეორდეს ის, რისაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ბევრ ადგილებში, საჭიროა მეტი სიფრთხილე, მეტი პოლიტიკური გამჭრიახობა.

არსებულ წყობილების განსამტკიცებლათ საჭიროა ჭეშმარიტი სოციალური შემოქმედებითი მუშაობის წარმოება. საჭიროა უპირველეს ყოვლისა მშრომელ გლეხობის სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რაც ნიადაგს მოუსპობს ყოველგვარ პროვოკაციას ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინაალმდეგ. და თუ ჩვენ შინაგანი ფრონტი გავამაგრეთ მაშინ მეტი შანსები გვექნება დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ და დემოკრატიული წყობილების გასამტკიცებლათ.

კიმ.

---

**დღევანდელ ნომრისათვის ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოდან რედაქციას დეპეშები არ მიუღია.**

---

# ახალი ამბავი.

— **ჭიათურაში გაემგზავრა** კომისია ფინანსთა და გზათა სამინისტროს წარმომადგენლებისაგან შავი ქვის მრეწველთა კომისიის თანადასწრებით. საბჭო შეიმუშავებს შავი ქვის ჭიათურის შტოზე გადაზიდვის ტარიფს.

— **სადგურ ხანაინის** უფროსის ცნობით იქ მოგროვდა მრავალი მსახურები და მოხელეები, რომელნიც დაბრუნდნენ ოსმალთა ტყვეობიდან. გზათა მინისტრის დადგენილებით მათ ტფილისამდე ჩამოიყვანენ უფასოთ.

— **ხოლერა** უკანასკნელ დღის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებიდან მოიყვანეს 6 ხოლერიანი ავათმყოფი, 4 საეჭვო.

— **პური.** პურით თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადების გამო, მთავრობა აგზავნის თავის აგენტებს რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში პურის სასყიდლათ.

— **კურსების გახსნა** 1 აგვისტოს გაიხსნა კურსები საშუალო შკოლის მასწავლებელთათვის. განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი და პროფესორი ჯავარიშვილი მიესალმენ მასწავლებლებს და უსურვეს მათ ნაყოფიერი მუშაობა. კურსისტობის რიცხვი 100-მდეა. კურსების შესანახათ მთავრობამ გადასდო 250,000.

— **ოთხ-ფეხი საქონლის გატაცება** 24 ივლისს, თერგის ოლქში, გაურეკიათ 1200 სული ოთხ-ფეხი საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა კოკისა და ყაზბეგის საზოგადოების მცხოვრებლებს. თხოულობენ დახმარებას.

— **ეროვნულ საბჭოს** წევრი. გ. ჯაფარიძე სოხუმიდან შემდეგს იტყობინება: „სოხუმის და მის ახლო მახლო ქალაქების ჩვენი ჯარის მიერ დაკავების შემდეგ ადგ. ფოსტატელეგრაფის მოსამსახურენი, რომელნიც ვლადიკავკავის მთავრობიდან ღებულობდენ ჯამაგირს, დღეს ჯამაგირ მიუღებელნი არიან. თხოულობენ სასწრაფოთ დაკმაყოფილებას. ნაციონალიზაცია, რომელიც განხორციელებულ უნდა იქნას 1 აგვისტოდან, აქ ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან მოსამსახურეების დიდი უმრავლესობა რუსები და სხვა ეროვნების ხალხია, ამისათვის საჭიროა დროებით შეჩერებულ იქნას ამ მხარეში ნაციონალიზაციის განხორციელება. ასეთი აზრის არის აფხაზთა სახალხო საბჭოც.

— **ს. ქვემო—ნიჩბი-იდან,** ექიმი, რომელიც გაგზავნილი იყო ხოლერის ნიშნებიან ავათმყოფების გასაშინჯავათ, იტყობინება: სოფელში ამ ჟამად არის 10 კაცი ხოლერით ავათმყოფი. 24, 25, 26 და 27 ივლისს მოკვდა ხოლერით 4, მორჩა 3. ამ ხნის განმავლობაში ავათ გახდომის შემთხვევა იყო 17. ამიერიდან მიღებულია სანიტარული რაზმის გამოგზავნა.

— **ძარცვა** კვირას, პეტროვის შესახვევში №16 ქურდები თავს დაესხნენ ლ. მელიქ-ნაზაროვს და წაართვეს 10000 მანეთი და ლევორველი ნაგანის სისტემის.

— **თფილისის ქალ. გამგეობამ** აცნობა განათლების სამინისტროს, რომ სომხურ და ადერბეიჯანის ეროვნულ საბჭოების წინაშე თფილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ ხარჯებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობის და რაოდენობის გამოსარკვევათ შუამდგომლობა უკვე აღძრულია. პირი შუამდგომლობისა ქალ. მოურავის მიერ წარდგენილია მთავრობაში. სომხურ და ადერბეიჯანის ერ. საბ. ჯერ პასუხი არ შეუტყობინებიათ. მიღებისთანავე ქალ. მოურავი გაცნობებთ პასუხს.

— **დააპატიმრეს** კონტრ-რევ. მოღვაწეობისათვის ღენერლები ბაბკინი და მაკეევი.

— **უხურსათობა.** როგორც ლანჩხუთიდან გვატყობინებენ უკანასკნელ ხანებში იქ სურსათის დიდი ნაკლებობაა. ადგილობრივ სიმინდი სრულიად არ იშოვება და თუ ალმოჩნდა სადმე ფუთში 100—120 მანეთს იხდევინებიან.

— **სამხედრო კავშირი.** ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდის გამგე ილ. აბაშიძე დაბრუნდა თბილისს და უკვე შეუდგა ჰიმნების შეჯიბრების კონცერტის მოწყობას, რომელიც ამ ახლო მომავალში გაიმართება.

— **კრება.** რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი კვირას, 4 აგვისტოს, დილის ათ საათზე იწვევს თბილისში მცხოვრებ ყველა რაჭველ-ლეჩხუმლების საერთო კრებას განურჩევლად სქესისა და მიმართულებისა. კრება შესდგება მუშათა კლუბში (მიხეილის ქუჩა). გასარჩევია მორიგი საკითხები.

— 2 აგვისტოს, ღამით, სოლოლაკის ქუჩაზე, მომხმარებელ საზოგადოების კასას თავს დაესხენ ქურდები. ქურდებს დროზე მოუსწრო მილიციამ, რის დანახვისთანავე გაიფანტენ.

— **სომეხ მწერალთა** საზოგადოებამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა გახსნას წევრთათვის კოოპერატიული იაფ-ფასიანი სასადილო.

— **სასურსათო სამინისტროს** დეპეშით ატყობინებს სიღნაღის მაზრის კომისარი, რომ ალაზნის რაიონის მცხოვრებლები მიუხედავათ მთავრობის აკრძალვისა, იძულებულნი არიან მიჰყიდონ თამბაქო ზაქათალის ოლქის მცხოვრებლებს, რადგან სიღ. მაზრის კომისარიატს შეძლება არა აქვს მათ წინაალმდეგ ბრძოლის. უკანასკნელი სთხოვს სამინისტროს, გადაუგზავნოს უპროცენტოთ თანხა, რათა კოოპერატივების კავშირს ან სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებას საშვალება ექნეს აქვე შეისყიდოს თუთუნი და ააცილოს მხარეს სპეკულიაცია.

— **დაარსდა** თფილისში მცხოვრებ სომეხთა ეროვნული საბჭო, რომელშიდაც შევლენ აქ არსებულ ყველა პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენელნი.

## მოწერილი ამბები.

**სოხუმი.** 19 ივლისიდან აქ მდგომი ჯარის კაცები ღებულობენ თეთრ პურს 1½ გირვანქას დღეში.

— **სოხუმში** უკვე ნორმალური ცხოვრება არის დამყარებული.

— **შავ ზღვაზე მიმოსვლის ფასები.** ფოთიდან სოხუმამდე—35 მან., სოხუმიდან სოჩამდე—65 მან., სოხუმიდან ტუაპსემდე—90 მან.

თბილისელი გაზეთი აქ ღირს 1 მ.

— **ზუგდიდი.** 13 ივლისს სხდომა ჰქონდა ზუგდიდის მაზრის სააღ.—მამ. კომიტეტს. მოწვეულნი იყვნენ პარტიის წარმომადგენლები და სხვადასხვა პირები.

საკითხი იყო—თუ როგორ გადაეჭრათ მიწის საკითხი.

კამათის შემდეგ სხდომამ მიიღო ხმის უმეტესობით ოთხის წინაალმდეგ შემდეგი დადგენილება: 1. მთელი ჩამორთმეული მიწები დაუყონებლივ დაურიგდეს გლეხებს უფასოდ, 2. არ უნდა იქნეს მიწის ყიდვა—გაყიდვა.

რეზოლიუციას ხმა მისცეს მენშევიკებმაც. გადაწყვეტილება აცნობეს ქუთაისის და თფილისის მთავარ საად. მამ. კომიტეტებს.

ურა.

## უკანასკნელი ცნობები.

გენერალი სუმბათაშვი სამხედრო მინისტრს ქუთაისადან დეპეშით ატყობინებს ჩვენი ჯარის გმირული მოქმედება, როგორც ტყიბულის ფრონტზე, ის ოსეთის სამხედრო გზაზე განსაცვიფრებელია, წინსვლას მოწინაალმდეგეთა სუსტი შემოტევა ხელს ვერ უშლის. უკანასკნელ ბრძოლის დროს, რომელსაც ხელმძღვანელობს კაპიტანი ყარაშვილი, ჩვენ დავიკავეთ ძლიერი გამაგრებულ პუნქტები. წამოყვანილია ტყვეთ ბრბოს სამი ხელმძღვანელი, რომელნიც ვინაობას არ ამხელენ. სამხედრო-ოსეთის გზაზე ჩვენ დავიჭირეთ სერიოზულათ გამაგრებული სიმაღლე გორმაღალა, სადაც ალმოჩნდა 60-დე მკვდრები და 30 დაჭრილი. დაჭრილების თქმით აქ მომკვდარა მათი მეთაური რატიანი, ყოფილი „სტრაჟნიკი“.

ჩვენ წავართვით მოწინაალმდეგეს თოფები ვინტოვკის და მალმოყენი სისტემის ჩვენის მხრით მსხვერპლი უმნიშვნელოა. მოგვიკლეს 1 აფიცერი და 3 ჯარის კაცი. დაგვიჭრეს შვიდი. ლეჩხუმის გეოგრაფიული მდებარეობა და ბალშევიკებისადმი მცხოვრებლების სიმპატია ჩვენ საშვალებას გვისპობს დავაჩქაროთ სამხედრო ოპერაციები და უცებ გადავრეკოთ მთებში დაბანაკებული ყაჩაღები“.

— **ხრესილი.** უკანასკნელ შეტაკების დროს ჩვენ მოწინაალმდეგეს მოუკლით წინამძღოლნი ახვლედიანი, ცნობილაძე და მესამე უცნობი. ძლიერი შეტაკების დროს ავიღეთ სიმაღლე დღნორისი სამხრეთით.

ივკოვი.

— **ხონის რაიონშიაც** იჩინა თავი ანარქიამ. სოფელ გვაშტიპში და ძეძილეთში მთავრობის რაზმები შეეტაკენ ბრბოს. ბრბოს ემატება ლეჩხუმიდან გამოქცეულები. მთავრობის ჯარები მათ ავიწროებს.

## მთავრობაში

**შინაგან საქმეთა სამინისტროში** მუშავდება კანონ-პროექტი საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღების შესახებ.

— **აფხაზეთის მინისტრის** მოხსენების შემდეგ ფინანსიური კრიზისისა და თამბაქოს საზღვარ-გარეთ გატანის შესახებ მთავრობამ დაადგინა: რადგან აფხაზეთის ფინანსიური მდგომარეობა კრიტიკულია, ნება დართულ იქნას 20 ათასი ფუთი თამბაქოს გატანის ბაჟის გადახდით, ეს დადგენილება დეპეშით უნდა ეცნობოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

— **ბათუმის ყოფილი ქალ.** თავი საბახტარიშვილი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის მეორე ამხანაგათ.

— **აფხაზთა საქმეების** მინისტრათ დაინიშნა პოლ. ერ. ჩკოტუა

— **მთავრობის 1 აგვისტოს** სხდომაზე მოსმენილ იქნა ფინანსთა მინისტრის გ. ჟურულის მოხსენება, რომელიც უკანასკნელათ ფოთში იყო გამგზავრებული. მთავრობამ მოიწონა მინისტრის მიერ გამონახული ზომები და დაადგინა აღდგენილ იქნას გემების მიმოსვლა ფოთიდან ტუაპსემდე. გაიმართოს მოლაპარიკება გერმანიის დელეგაციასთან, რათა დაგვითმონ გემები, რომ მოეწყოს მიმოსვლა მდინარე რიონში ფოთიდან ორბირამდე, შემდეგ კი სამტრედიამდე.

## მდგომარეობა უკრაინაში.

მესამე დღეა კიევიდან ჩამოვიდა კიევის კომერციულ ინტიტუტის სტუდენტი, რომელმაც გვიამბო შემდეგი: გზაში ვიყავი 24 დღე. დიდი გაჭირვება გამოვიარე. მატარებლები არეულათ დადიან, არავითარი წესრიგი არაა იმ სადგურებზე, სადაც გერმანელების ჯარები არ დგას. ამ მხრივ აქ ჩვენში საუცხოვოაა ყოველა საქმე მოწყობილი: მატარებლები მიდიან და მოდიან დანიშნულ დროზე.

პოლიტიკური მდგომარეობა უკრაინაში არა სახარბიელოა თითქმის ყველაფერს გერმანელები განაგებენ, ფაქტიურათ ისინი არიან უკრაინის ბატონ-პატრონი. კრებების და მიტინგების გამართვა აკრძალული. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული ნებართვის ალება გერმანელებისაგან, შესაძლოა დაგრთონ ნება. გაზეთებზე დაწესებულია წინასწარი ცენზურა, ხშირათ გაზეთები თეთრი სმეტებით გამოდის. მემარცხენე პარტიების გაზეთები არ გამოდის. სოც.- რევ. და სოც.-დემ. მენშევიკებს შეუძლიათ მუშაობა, თუ სათანადო ნებართვას აიღებენ. ბოლშევიკების კი ჭაჭანებაც არაა მათი გამოჩენა სახიფათოა, რადგან მათ წინაალმდეგ სასტიკ ზომებს ღებულობენ ამიტომ ბოლშევიკები არალეგალურ მუშაობას ეწევიან. ქალაქში უმთავრესათ გერმანელების დარაჯები დგას. იარალი უკრაინაში სულ მოკრეფილია. გერმანელებმა შემოსვლისთანავე ბძანება გასცეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში იარალი ჩაებარებიათ მცხოვრებლებს მათთვის, წინაალმდეგ შემთხვევაში სასტიკათ იმუქრებოდენ. მუქარამ გაჭრა. იარალი ჩააბარეს. უკრაინაში გარეგნულათ წესრიგი ვითომ არსებობს. უკრაინაში შესვლა და იქედან გამოსვლა გერმანელების ნებადაურთველათ შეუძლებელია.

მუშები არ არიან კმაყოფილი არსებულ წყობილებით და გერმანელებით. ათი დღის უკან კიევის თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა და აგრეთვე რკინის გზის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. წამოაყენეს ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებები. მოითხოვეს რვა საათის სამუშავო დღე და თავისუ-

ფლება ბეჭდვის, სიტყვის, კრების, პიროვნების ხელშეუხლებლობა და სხვა. რით გათავდა გაფიცვა არ ვიცით.

გლეხებშიც დიდი უკმაყოფილება არსებობს მათზე ძლიერ გლახათ მოქმედობს სანოვაგის რეკვიზიცია გერმანელების მიერ. იყო ისეთი შემთხვევა, რომ გლეხმა ხორბალი წყალში გადაყარა და რეკვიზიტორებს კი არ მისცა. უკანასკნელ ხანებში გერმანელები შეუდგენ პირუტყვების რაოდენობის აღნუსხვას, რაც ძლიერ ცუდათ მოქმედობს გლეხებზე.

საერთოთ უკრაინაში თავისუფლების მხრივ ცუდი მდგომარეობაა. უფლებების წართმევა მძიმე ლოდათ აწევს კისერზე უკრაინის დემოკრატიას. ის ფიქრობს უკეთეს მომავალზე და იმედიც აქვს, რომ მოესწრება მას. აღსანიშნავია, რომ უკრაინის დემოკრატია დიდი იმედით უყურებს ქართველ დამოკრატიას. მასში ის სასწაულ მომქმედ ძალას ხედავს. ხსნას ისინი აქედან ელიან.

რით აიხსნება ასეთი გადაჭარბებული მისი წარმოდგენა ჩვენ ხალხზე არ ვიცი. ვიტყვი მხოლოთ, რომ ხშირათ გაიგონებთ იქ: ქართველები, რომ წამოგვეხმარებოდენ მალე გავიმარჯვებთო, სანოვაგე იქ იაფია და უფრო იოლადაც იშოვება. პური გირვანქა ღირს 2 მ. 50 კ., თუ ბინის კომიტეტის დახმარებით იყიდი, 20 კაპ.; კვერცხი ერთი 40 კაპ.; ხორცი 2 მან. 20 კაპ.

სწავლა ყველა სასწავლებლებში ნორმალურათ მიმდინარეობდა. მე შემდეგ კურსზე გადავედი. კიევის კომერციულ ინტიტუტს დიდი ხალხი მოაწყდა პეტროგრადის პოლიტეხნიკუმის ეკონომიურ განყოფილებიდან და მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტიდან, რადგან ხსენებულ ქალაქებში წესი ჯერ კიდევ არ დამყარებულა და სწავლის განაგრძობა შეუძლებელია. კიევში კი შედარებით ცხოვრება ნორმალურათ მიმდინარეობს. როგორც ხმები დადის, კიევის ინტიტუტში ოზეროვი იკითხავს ლექციებს. აქ ჩვენში სულ სხვანაირათ ვიგრძენ თავი. თუმცა სიძვირე მეტია, მაგრამ შეუდარებელი თავისუფლება ყოფილა.

**სტუდენტი.**

## გამოფხიზლების ნიშნები

რუსეთში ფრიად საყურადღებო—სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამბები ხდება. ბრესტის სამარცხვინო ზავით შეურაცხყოფილი რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია უკვე გამოფხიზლების გზაზე შემდგარა და ღონეს იკრეფს მძლავრი იერიში მიიტანოს დიადი რევოლიუციის დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ.

ბოლშევიკების მიერ ვილჰელმთან შეკრული „ზავი“ ვერ აკმაყოფილებს რუსეთის რესპუბლიკის შეგნებულ ნაწილს. კიდევ მეტი. გუშინდელი მოკავშირე ბოლშევიკების—ეგრეთ წოდებული „მემარცხენე“ სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომელნიც სირცხვილის გამო აქამდის ინელებდნენ ბრესტის სამარცხვინო ზავს, მოთმინებიდან გამოვიდნენ და უკვე აღიმაღლეს ხმა ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ და აქტიური გამოსვლებით სცადეს სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოხდენა, მაგრამ, როგორც ბოლშევიკები იტყობინებიან, მათმა ცდამ ჯერჯერობით მიზანს ვერ მიაღწია.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლშევიზმმა ღრმად ჩაინერგა ფესვები რუსეთის მუშათა კლასში, პირიქით, რუსეთის ყოველი მხრიდან გვესმის, რომ უნდობლობას უცხადებენ „სახალხო კომისართა“ საბჭოს.

თუ აქამდის „სახალხო კომისართა“ საბჭოს ოდნავ მაინც ქონდა მთავრობის ფიზიონომია, მემარცხენე ესერების ჩამოცილების შემდეგ იგი ფაქტიურად ბოლშევიკების პარტიულ კომიტეტს წარმოადგენს ლენინის თავმჯდომარეობით.

დიახ, ბოლშევიკურმა რეჟიმმა მოსჭამა თავისი დრო რუსეთში. ეს ადვილი ასახსნელიც არის. მსოფლიო კატასტროფის პროცესში შობილ რუსეთის რევოლიუციის ბედი დიდათ იყო დამოკიდებული თანამედროვე ომისგან. რევოლიუციის პირველ ხანებში ყველანი აღნიშნავდნენ, რომ ომმა წარმოშვა რევოლიუცია და იგივე ომი ჩაყლაპავს მას, თუ იგი ვერ მოახერხებს ომის ლიკვიდაციასო.

როგორ და რა გზით?

აი კითხვები, რომელნიც ღრმად აფიქრიანებდენ ყველას, მაგრამ თითქოს ამის ბოლამო ბოლშევიზმი იყო. „დაუყოვნებლივი საყოველთაო დემოკრატიული ზავი“-ს ლოზუნგმა თავბრუდაასხა სამი წლის ომით დაქანცულ მეომრებს და მუშებს, და მათაც აღმართეს დროშა ბოლშევიზმისა.

მაგრამ ბოლშევიზმი გლახაყალბი პრეპარატი გამოდგა: იგიბაცილებთან ერთად ცოცხალ ორგანიზმსაც წუთისოფელს ასალმებს. რაც შეიძლება მალეა ხსნა საჭირო.

**ანლახი.**

## პარტიის ცხოვრებიდან.

**სოხუმი.** ახალი ინტელიგენტი კაცის შემოსვლას იმ ქალაქში, რომელიც რამდენიმე თვეა აგერ მოწყვეტილია ყველაფერ წყაროებიდან ცნობებს და რომელიც იკვებება სპეკულიანტების მიერ ჩამოტანილ ცნობებით სხვადასხვა შორეულ თუ ახლობელ ადგილებიდგან საქონლებთან ერთად ბაზარში, და ისიც პოლიტიკურ მოღვაწის უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ არ ჩაუვლია სოხუმისთვის. როგორც კი გაიგო ჩვენმა კომიტეტის წევრებმა ამხ. ჩემოდანოვის ჩამოსვლა სოხუმში, მაშინვე ინახულენ და ებაასენ დღევანდელ მდგომარეობაზე და სთხოვენ, რომ გაეკეთებია მოხსენება პარტიის საზოგადო კრებაზე, რაზედაც ამხ. ჩემოდანოვმა სურვილი განაცხადა და დაპირდა ლექციის წაკითხვაც.

4 ივლისს იქნა მოწვეული პარტიული საზოგადო კრება. ამხ. ჩემოდანოვმა დაწვრილებით გვიამბო თუ რა პირობებში მოხდა ჯერ კავკასიის გამოყოფა და მერმე კი საქართველოს და სთქვა, რომ ყველა ეს იყო იძულებითი და არა სურვილი პოლიტიკის ხელმძღვანელებისო და აგვიწერა ის მომენტი, როდესაც ჩვენ ახალ მთავრობას—სეიმს უნდოდა მოლაპარაკებით შეენარჩუნებია უკვე ბრესტ-ლისტოვსკის ხელშეკრულობით დათმობილი ბათუმ-არდაგან-ყარსი, მაგრამ ოსმალეთის წარმომადგენლებმა არც კი სცნეს საჭიროდ ამათთან ლაპარაკი, რადგანაც ჩვენ რუსეთთან ზავი შეკრული გვაქვსო და კავკასია კი არის რუსეთის ნაწილიო. მეტი საშვალება აღარ იყო კავკასია გამოეყო რუსეთს და გამართა მოლაპარაკება ოსმალეთთან, როგორც თავისუფალმა სახელმწიფომ, მაგრამ ამანაც ვერაფერს უშველა და ვერ შეგვანარჩუნა ბათუმ-არდაგან-ყარსი, რადგანაც არ იყო სეიმში ერთი მისწრაფება და ერთი სურვილიო. სეიმი დაიშალა და აღმოცენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც გადაარჩინა საქართველო ოსმალეთის ჯარის მიერ განადგურებას. გერმანიის „ორიენტაციის“ მაინც არ ეშინია მომხსენებელს, რადგანაც პოლიტიკურ და ფიზიკურ არსებობას საქართველოსას არ შეეხებაო, რის ნიშნებიც არის უკვე და ეს კი დღევანდელ პირობებში დიდი საშვალება არისო.

ეკონომიურად საქართველო შეიძლება მთლად გაანადგუროს, რადგანაც არავისთვის დაფარული არ უნდა იყოს, რომ გერმანია ყველა იმ სიკეთეებს საქართველოს მისი ლამაზი თვალებისთვის არ უკეთებსო. მერმე მოუწოდა კრებას, რომ დაეჭირა მხარი ახალი მთავრობისთვის, რადგანაც ეს ნამდვილი ხალხის წარმომადგენელიაო და დაიცავს იმის ინტერესებსო თუ ეხლანდელი მთავრობა იქნა ჩამოგდებული მის ალაგს დაიჭერს მოღალატე, ხალხის მტერი ნაციონალ-დემოკრატები. ეს ის ხალხია, რომლებიც ყვიროდენ საქართველოს გამოყოფას და როდესაც ეს მოხდა, უარი განაცხადეს მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე, და ამით ფარულათ და ფლიდურათ ჩასცეს ჩვენს დემოკრატიას ზურგში მახვილიო. მერმე ილაპარაკა თუ როგორ ჩვენს პარტიაში არსებობდა ორი „ობლასტნოი კომიტეტი“ და ეხლა კი არსებობს „ცენტრალური კომიტეტი“ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც იქნა არჩეული დამფუძნებელ კრებაზე ქუთაისში? და, რომელზედაც სოხუმის წარმომადგენელი არ ყოფილა, ამიტომ საჭირო არის ვიცოდეთ რომელ ცენტრალურ კომიტეტს მიემხრობა სოხუმის ორგანიზაცია და დაუჭერს მხარსა საქართველოსას თუ რუსეთისასო. დაბოლოს წაიკითხა რეზოლიუცია დაახლოვებით შემდეგი შინაარსის: „კრებამ მოისმინა რა ამხ. ჩემოდანოვის მოხსენება საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დაარსების შესახებ დაადგინა დაუჭიროს მას მხარი“ ამ რეზოლიუციას კენჭი უყარეს და იქნა მიღებული ერთი ამხანაგის თავდაჭერით.

7 ივლისს ადგილობრივ ს. დ. კომიტეტმა გადაიხადა სამოქალაქო პანაშვიდი პლეხანოვის გარდაცვალების გამო. ჩვენმა კომიტეტმა დაავალა ამხ. ჩემოდანოვს სიტყვა ეთქვა ამ პანაშვიდზე, რაც ჩინებულად შეასრულა. როგორც კი მოვიდა ცნობა პლეხანოვის გარდაცვალების შესახებ, იმწამსვე შეიკრიბა ჩვენი კომიტეტი და ს. დ. კომიტეტს წერილობითი თანაგრძნობა გამოუცხადა.

ჩვენმა კომიტეტმა ისარგებლა ამხანაგ ჩემოდანოვის დანაპირებით ლექციის წაკითხვის შესახებ და კიდევაც მოაწყო 8 ივლისს ალოიზის ტეატრში. ჩემოდანოვმა ლექცია წაიკითხა ამ თემაზე: „რუსეთის დიდი რევოლიუცია და დამოუკიდებელი საქართველო“.

ამხ. ჩემოდანოვმა დაწვრილებით აუხსნა კრებას რა მიზეზებით იყო გამოწვეული საქართველოს გამოყოფა და რა იძულება მიაყენა მას ოსმალეთმა, რომ ეს ექნა, და როგორ არ უნდოდათ ქართველების მეთაურებს გამოყოფა, და მოაგონა ამ მეთაურების ღვაწლი რუსეთის რევოლიუციაში, და ბრალი დასდო არა ქართველებს და მის მეთაურებს, არამედ იმ უპასუხისმგებლო პირებს—ბოლშევიკებს, რომლებმაც გახრწნეს რევოლიუციის ფრონტი, გამოიწვიეს სამოქალაქო ომი, შექმნეს რუსეთში ანარქია და მიიყვანეს რუსეთი დაღუპვამდის. კრებას გაახსენა ბოლშევიკების მიერ 38 ქართველების დახოცვა არმავირში და სხ. და უთხრა, რომ იქ რუსეთში რევოლიუციის მონაპოვარი იღუპება, და აქ, საქართველოში, შეიძლება შევინარჩუნოთო. მენშევიკები უდგანან სათავეში საქართველოს რესპუბლიკას და ამ პარტიის მეთაურები ჟორდანია, წერეთელი და ჩხეიძე ხალხს არ უღალატებენ და ამათ კიდევაც დაამტკიცეს ხალხისადმი ერთგულება, არამც თუ სიტყვით, არამედ საქმითაც: ციხე-სიმაგრეებში ჯდომით და ციმბირში ცხოვრებით ხალხის გულისთვის და ამიტომ მხარი უნდა დაუჭიროთ ამ მთავრობასო. დიდად დაჰგმო ნაციონალ-დემოკრატების პოლიტიკა საქართველოში და ხალხის მოღალატე უწოდა, რომელსაც უნდა სხვა სახელმწიფოს „შტიკის“ დახმარებით აღადგინოს ძველი რეჟიმიო, მაგრამ ეს აქ საქართველოში არ იქნებაო, სთქვა ლექტორმა. ისე ახადა ფარდა და გამოამზეურა ნაციონალ-დემოკრატების ნამოქმედარი, რომ ერთმა მაყურებელთაგანმა ნაციონალ დემოკრატმა ვეღარ მოითმინა და სკამების რახუნით და ხმაურობით გავარდა გარეთ, რაც ლექტორისთვისაც არ დარჩა შეუმჩნეველი. ძლიერ ეპატიჟა ლექტორი, რომ გამოსულიყო ვინმე ნაციონალ-დემოკრატებიდან და პასუხი გაეცა, მაგრამ არავინ არ გამოჩნდა. ლექციის საკრიტიკოდ არავინ არ გამოსულა, ვინც გამოვიდა ყველამ შეავსო და გააფართოვა ლექცია, რისთვისაც ლექტორმა მადლობა გადაუხადა მათ. კრებამ დიდი ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი—ამხ. ჩემოდანოვი.

ლექციამ ამხ. ჩემოდანოვის ძლიერ შინაარსიანი იყო, მომენტის შესაფერიც და სარგებლობასაც მოუტანს უსათუოდ ხალხს, რადგანაც ყველა იმ ფაქტებზე, რომლებიც უკვე მოხდა, მისცა ნამდვილი, სალი, სრული წარმოდგენა და დაიხსნა ბაზარში შეგროვილ მრუდე ცნობებისაგან.

სოხუმი 21 ივლისი 1918 წ. **მორცხვი.**

## სოც.-რევ. პარტიის ზუგდიდის მაზ. ორგანიზაციებთა ყრილობა 23 ივნისს ქალაქ ზუგდიდში.

კვირას, 23 ივნისს, პარტიულ კლუბში გაიხსნა კონფერენცია ზუგდიდის მაზრის სოც. რევ. პარტიის ორგანიზაციებისა.

ყრილობას დაესწრენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელნი: ქ. ზუგდიდის, ს. ზუგდიდის, ცაიშის, კახათის, დიდინეძის, კოკის, კირცხის, ნარაზენის, ყულისკარის, ჭკადუაშის და ჯულიჯიანის.

პარტიულ ბიუროში 12 საათზე ყრილობა გახსნა ამხ. მ. ბერულავამ, შემდეგ თავმჯდომარეთ ამოირჩიეს ამხ. იულონ ოდიშარია. მდივნად ამხ. ბაგრატ უჩანეიშვილი.

დღიურ წესრიგში შემდეგი იყო:

1. ვლ. გობეჩიას გარდაცვალება.
2. ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატის არჩევა.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. მომენტი და ჩვენი ტაქტიკა.
5. მთავრობა და მასთან დამოკიდებულება.
6. ერობა.
7. იარაღის საქმე.
8. გაზეთი.
9. მომავალი მუშაობა მაზრაში.
10. მიმდინარე საკითხები.

ამხ. ბაგრატ უჩანეიშვილმა მოახსენა ყრილობას დიდი მოღვაწის ვლადიმერ გობეჩიას გარდაცვალება, რომელსაც ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა.

დაადგინეს: გადაიხადონ კვირას 3 ივნისს დიდი სამოქალაქო პანაშვიდი ვლ გობეჩიას სახსოვრათ, რისთვისაც ამოირჩიეს მომწყობი კომისია.

საქართველოს სოც. რევ. პარტიის ყრილობაზე გასაგზავნად კონფერენციამ ამოირჩია ერთი წარმომადგენელი ამხ. ივ. ჟორდანია.

შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან.

გლეხობა მოითხოვს საჩქაროდ საერობო არჩევნებს, ხალხური კანონების გამოცემას და რევოლიუციონური ფრონტის გაერთიანებას.

მომენტი და ტაქტიკაზე მოხსენება გააკეთა მ. ბერულავამ.

მთავრობის შესახებ დაადგინეს:—დაუჭიროს მხარი მას იმდენად, რამდენად ის რევოლიუციის მონაპოვართ ამტკიცებს.

ერობის შემოღების შესახებ ამხ. ნ. ბერიძემ გააკეთა მოხსენება.

იარაღის შესახებ ყრილობამ დაადგინა: დაევალოს სოფლის ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაუყონებლივ მიიღონ ყოველივე ზომები იარაღის შესაგროვებლად და წარმოუდგინონ მებრძოლ კომიტეტს.

ამხ. ბ. უჩანეიშვილმა გააცნო ყრილობას ჩვენი გაზეთის მდგომარეობა, საერთოდ პრესის მნიშვნელობა და მოუწოდენ ყრილობას მიიღონ ყოველივე ზომები გაზეთის გასავრცელებლად. ყრილობამ დაავალა სოფლის ორგანიზაციებს გამოიწერონ გაზეთი და გაავრცელონ ხალხში.

რაც შეეხება მომავალ მუშაობას ყრილობამ გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, დაადგინა: აუხსნან ხალხს მომენტი და საერთოდ გააძლიერონ მუშაობა.

ყრილობა დაიხურა საღ. 7 საათზე.

თავმჯდომარე **იულიონ ოდიშარია.**

მდივანი **ბაგრატ უჩანეიშვილი.**

## ამხ. ს. ჩემოდანოვის წერილი საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიმართ.

ამით ვაუწყებ ცენტრალურ კომიტეტს, რომ სოხუმში ყოფნის დროს მე წინადადება მივეცი ადგილობრივ კომიტეტს, რათა მას მოეწვია სოხუმის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც შესდგა 4 ივლისს. მე გავაკეთე მოხსენება მომენტზე და ქუთაისის უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, „სოც.-რევ. პარტიის სოხუმის ორგანიზაციის საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება სოც.-რევ. პარტიის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა დაშლის. ამიერ-კავკასიის რამოდენიმე რესპუბლიკებათ დაყოფის გამო და საქართველოში მომქმედ დამოუკიდებელ სოც.-რევ. პარტიის დაარსების შესახებ დაადგინა: გამოაცხადონ სოხუმის ორგანიზაცია საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ნაწილათ და დაემორჩილონ ცენტრალურ კომიტეტის დირექტივებს, რომელიც ამოირჩია ქუთაისის ყრილობამ“.

აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან გამოირკვა, რომ სოხუმის ორგანიზაცია სრულიად იზიარებს ქუთაისის ყრილობის შეხედულებას მომენტზე.

სოხუმის ორგანიზაციის წარმომადგენლები ვერ დაესწრენ ყრილობას იმიტომ, რომ ცნობა ყრილობის შესახებ მათ მოუვიდათ გვიან.

**ს. ჩემოდანოვი.**

## აჩრდილი შავი საფრთხისა!

ეხლა იმაზე მსჯელობა და ბაასი თუ როგორ მდგომარეობას განიცდის მოქალაქე უსურსათობის გამო-ზედმეტია, რადგან ეს ყველასათვის აშკარაა და ნათელი, მარა არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გულის ამღვრევი სიძვირე, რომელიც სუფევს დღეს ბაზარზე! რა ხდება ჩვენს ირგვლივ? ოთხშაბათს ფუთი მჭადის ფქვილი ფასობდა 80 მ., მერე დღეს 90 მ., პარასკევს და შაბათს კი 100—120 მ.! ეს პირდაპირ განსახიერებული ჯოჯოხეთია! ვისაც ხალხში ტრიალი უხდება და მათთან ახლო არის, მისთვის ჩვეულებათ იქცა დამშეულ ქალ-ბავშთა ტირილ-გოდება უმჭადობის გამო! თუ არ არის სანოვაგე და სიმინდი, არ არის და რა ვქნათ! ამასთან ვერაფერს გავაწყობთ, რადგან არაფრისგან რაიმის შექმნა ჩვენ ძალას აღემატება, მარა როგორ შევურიგდეთ იმ გარემოებას, რომ ბაზარზე ფქვილი გამოდის და მოქალაქე—დემოკრატია ვერ ყიდულობს სიძვირის გამო! სიმშილისგან ღონე მიხდილი, გონება ამღვრეული მოქალაქე ხედავს სიმინდს და ვერ ყიდულობს, რადგან ჯიბეში 120 მ. არ აქვს და თუნდაც ქონდეს, ნუ თუ მარტო მჭადი ეყოფა, რომ სიმშილი დაიკმაყოფილოს? ავიღოთ მასწავლებლების, მოხელეების და საზოგადოთ მოჯამაგირე ხალხის მდგომარეობა, მათი ჯამაგირის მაქსიმუმი—300 მ. იყიდის ორ ფუთ ნახევარ მჭადს და [illegible] ლესობისათვის არის კვირა ნახევარის ან ორი კვირის [illegible] რას რა სჭამოს, რით გამოკვებოს ოჯახი? მარტო მჭადითაც რომ ისაზრდოვოს განა მისი ჯამაგირი ეყოფა ამ საჭიროებისათვის? არა! აბა რა უნდა ქნას დამშეულმა, გაცოფებულმა ხალხმა? აუცილებლათ ისეთს ჩაიდენს, რაიც სამწუხარო იქნება, როგორც ამ სტრიქონების დამწერისათვის, ისე მთელ სალათ მოაზროვნე დემოკრატიისათვის. გასამტყუნარიც ბევრად არ იქნება მოქალაქე, რადგან სიმშილის სუსხი ძლიერია, მის წინაშე ყოველნაირი უბედურება იჩრდილება და სიმწვავეს ჰკარგავს! ვაჭარმრეწველთა კლასი არას დაგიდევს, თუნდაც 300 მ. გახდეს ფუთი, იქაც მხოლოდ მოქალაქე წააგებს, რადგან ზედმეტად ნაყიდ ფქვილის ფულს, ისევ ჩვენს ზურგზე გაინაღდებს. მაშასადამე ვაჭრების ინტერესს არ შეადგენს საქონლის გაიაფება, რადგან ისინი ერთს და იმავე დროს ორ ცხვარს კრეჭენ: ქალაქის მცხოვრებს და სოფლის მუშას! აქ სახეში მისაღებია მოჯამაგირე ხალხი და დღიური მუშები. ვეკითხებით მთავრობის წარმომადგენელთ: რით ვისაზრდოვოთ, რა ვჭამოთ, როდესაც ფული არ გვყოფნის გამოსაკვებად? ჩვენ ვერ შევძლებთ ერთი ან ორი ფუთით გამოვკვებოთ ოჯახები, მეტი კი ჩვენ არ გვაქვს. ნუ თუ 50 კ. ისე გაიზარდა, რომ 120 მ. იქცა? ან ვაჭრების ქვენა მოქმედება ვინ უნდა შეაჩეროს? **სად არის, სად ჩვენი ხსნა?** განგვიმარტეთ დამშეულ ხალხს! პურის მაგიერ ქვას გვაწვდიან; ჩვენი მოთმინებით სარგებლობენ ვაჭარ-ჩარჩები და ავიწყდებათ, რომ ჩვენც ხალხი ვართ და ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი აქვს! ჩვენ ვთხოულობთ საშუალება მოგვცეს, მჭადი მაინც გვექნეს, რომ მჟავე ტყემლის წვენს მოვუწოთ და კუჭი ჩავაჩუმოთ!

თუ ვაჭრების ოჯახთ კარაქ-კვერცხ-რძე-ბატკნები არ ენატრებათ, ჩვენ მჭადი, მშრალი მჭადის შეძენაში დაგვეხმარეთ!... ზომები მიიღეთ, სოფელში მრავლათ არის მჭადის ფქვილი, თუ არ იყოს არც 120 მ. და არც 1000 გაჩნდება; ბაზარზე ქვილი შემოდის, მაშ სოფელში არის სიმინდი! მათი მადა გახსნა მამისონის უღელტეხილის კვლავ გაუქმებამ! ირგვლივ გულშემზარავი ქრისტეს ტირილია, ხალხი—დემოკრატია სისხლის ცრემლებს აფრქვევს სიმშილის გამო; ბავშვების „მშია, მშია“ ცას სწვდება და დროზე, დროზე უნდა იქმნეს მიღებული რადიკალური ზომები, თორემ შავი საფრთხის აჩრდილი წინ გვეჭიმება და ყოველნაირი მოძრაობა, არარა იქნება სიმშილის მოძრაობასთან შედარებით. ეს არ არის ბოლშევიკების მოძრაობა, ეს არ არის მთავრობის კრიტიკა და მათი ავტორიტეტ დასაცემათ გამოგონილი ხრიკები! ეს არის ხალხის შვილის, მისი ჭირ-ვარამის მცოდნის ამოძახილი მიმართული მთავრობის გასაფრთხილებლად, შავი საფრთხის თვიდგან ასაცილებლად! დროზე ნახმარი მიზანშეწონილი ზომები გვიხსნის ჩვენც და მთავრობასაც სამოქალაქო ომისაგან და ანარქიისაგან!

**ნარ ძილი.**

## ჭიათურის

**ყოფილ მუშების, მოსამსახურეების და უმუშევართა საყურადღებოთ.**

**ამხანაგებო!**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთი სამრეწველო რაიონი დაგვრჩა. ეს არის ჭიათურა. ომის გამოცხადებიდგან დღემდის აქ ნორმალური მუშაობა არ ყოფილა. ყოფილ მუშებს და მოსამსახურეებს ჰგონიათ, რომ მალე დიდი მუშაობა დაიწყება; თითქოს დღესაც იყოს მუშაობა დაწყებული და მოდიან ჭიათურაში.

ამხანაგებო! მუშაობა ჯერ არსად დაწყებულა: არც მაღაროებში და არც ქარხნებში. მართალია, იტვირთება დღეში 20—40 ვაგონამდის და იგზავნება რუმინიით გერმანიაში, მაგრამ შეიძლე-

ბა ესეც შეწყდეს, თუ რკინის გზას სათბობი მასალა არ ექნება. კოლექტიური ხელშეკრულება მუშავდება შავი-ქვის მრეწველებთან, შრომის სამინისტროს წარმომადგენლების თანადასწრებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს საყოველთაო მუშაობა იწყებოდეს! აქ ორი გერმანული ფირმაა, რომელთა მოთხოვნით ხელშეკრულება მუშავდება, მაგრამ როგორც ირკვევა მათ დამზადებული ქვის გატანა ეჩქარებათ და ჯერ არც ისინი ეპირებიან ქარხანა-მაღაროში მუშაობის დაწყებას. დანარჩენი მრეწველები კი, საერთო ბაზრის და დარდანელის გახსნამდის, ვერ იმუშავებენ ნორმალურად. ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, როგორც ყოფილ მუშა-მოსამსახურეთა, ისე უმუშევართა რომ აიცდინონ ყოველივეხარჯები აქჩამოსვლით, თან სურსათი სრულიად არ იშოვება, ნუ მოდიან ჭიათურაში. როცა მუშაობა დაიწყება პრესის და სხვა საშვალებითაც გაცნობებთ ადრევე.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ცნობა.

ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა კომისიების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მელენტი ს. დობორჯგინიძე.**

მდივანი **ა. კობიძე.**

## პროვინც. მენშევიკ. ბი.

ბრძენმა სთქვა: დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო ადვილი სხვისი ნაკლულევანების და შეცდომების შემჩნევაა და ყველაზე უძნელესი კი საკუთარისა. სწორეთ ასე სჭირია სოც-დემოკრატებს. თუ ისინი თავიანთი გაზეთების ფურცლებზე სამართლიანად ილაშქრებდნენ ბოლშევიკების საერთოდ ურა-ტაქტიკის წინააღმდეგ და სასტიკათ გმობდნენ მათი კომისრების უდიერ მოქცევას მუშებისადმი, სრულიად უსამართლოდ სდუმან თავიანთი პროვინციელი ამხანაგების—კომისარ-,,ნაჩალნიკების'' ცოდვებზე.

ზუგდიდის მაზრაში ,,თოლორდავშჩინის'' ლიკვიდაციის შემდეგ რიგში სენაკის მაზრა ჩადგა. აქაც მოგვევლინა ახირებული ,,ტაქტიკის'' და ადმინისტრატიული ,,ნიჭის'' მქონე მილიციის უფროსი—მოქალაქე ჩიქვანაია.

რასაკვირველია, ეს შენიშვნა ფანატიკ მენშევიკებს მეტად გააბრაზებს, რადგან ამას სწერს ესერი და შეიძლება თვით მოქალაქე ჩიქვანაიამ, როგორც მას სჩვევია ხოლმე, მათრახიც კი მოიმარჯვოს ჩემზე, მაგრამ იცოდეს მათ, რომ ამას მოწმობს მთელი მაზრა, ყველა, განურჩევლად პარტიული მიმართულებისა, ვისაც თავისი თვალით დაუნახავს, თუ როგორ ისტუმრებს მათრახის ცემით მოქალაქე ჩიქვანაია სოფლის მუშებს სრულიად უდანაშაულოდ.

ასეთი დასაგმობი საქციელმა სენაკის მაზრის სოფლელები პირდაპირ განცვიფრებაში მოიყვანა, ზოგ ალაგას აღელვებამაც იჩინა თავი და ვაი თუ მოთმინების ფიალა აივსო!..

რით აიხსნება მოქალაქე ჩიქვანაიას მათრახით და კომბალით გალაშქრება უდანაშაულო მუშების წინააღმდეგ?! და განა ამას ვერ ხედავენ მისი ამხანაგები სოც.-დემოკრატები?

ან და შეიძლება მ-ქე ჩიქვანაია ფიქრობდეს, ხალხს დავაფრთხობ, თავზარს დავცემ და მერე „ბოლშევიკობას" ვერ გაბედავენო (?)! მაგრამ ასეთი „სტრატეგიული ნიჭი" მას კრილოვის „პოვრის" როლს აკისრებს, რომელმაც ოთახში კატა ჩაამწყვდია ხორცი რომ უზრუნველყო თაგვებისგან. „ბოლშევიზმი" ჩვენში სხვათა შორის მენშევიკების პოლიტიკით უკმაყოფილებაა და თუ ისინი ისედაც უკმაყოფილო მუშებს ყოვლად უმიზეზოთ და უკანონოთ მათრახის ცემით მიმართავენ შარა-ქუჩებში, მაშინ, სამწუხაროდ, არც „ბოლშევიკობა" იქნება შორს...

ჩვენ ერთხელ კიდევ მიუთითებთ მენშევიკ-ადმინისტრატორებს ჩადენილ ცოდვებზე და ურჩევთ მათ უკუაგდონ ანტი-ხალხური მეთოდები მართვა-გამგეობის, რომ ამით თვით არ შეუწყონ ხელი უკმაყოფილების წარმოშობას, რომელიც ხშირად დამაღონებელ შედეგებს იძლევა ხოლმე.

კერძოთ კი მოქალაქე ჩიქვანაია საჭიროა დაუყონებლივ გადაყენებულ იქმნას თანამდებობიდან, რომელიც ყოვლად უდანაშაულო მუშების გამათრახებით და უტაქტო მოქმედებით თვით ნიადაგს უმზადებს უკმაყოფილო ელემენტების წარმოშობას, ყოვლად უმიზეზოდ და უაზროდ აღიზიანებს სოფლის მუშებს და თავისი უდიერი და უზრდელი მოპყრობით ჩირქსა სცხებს თვით სოციალიზმის სპეტაკ იდეას.

**ა—ხი „ნობათელი".**

## კოოპერაციის ცხოვრებიდან.

საანგარიშო წლის დამთავრების შემდეგ ჩვენ პრესაში ნათლად იყო დასურათებული, თუ რანაირი ჯურის მტრები ყავს ქ. სენაკის მომხმარებელ საზოგადოება „ნდობა"—ს, და ეს გასაკვირველიც არ არის, ვინაიდან „ნდობ"—ის ასეთ სწრაფად შედგომა აყვავების გზაზე ძნელად მოსანელებელი შეიქნა ადგილობრივი ჩარჩ-ვაჭრების და შავ-ბნელ ძალების მიერ.

დემოკრატიის შეგნებულ ნაწილს კარგად აქვს გათვალისწინებული ეს მუდმივი ფრონტი: მას ყოველთვის გმირულად უწარმოებია და აწარმოებს მათ წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას, რაც ნათლად დამტკიცდა მ. ს. „ნდობ"—ის წლიურ კრებაზე. საზოგადოების წევრთა დიდმა უმრავლესობამ მძლავრი იერიშით დატუქსა მტრები ჩვენი ნორჩი კოოპერაციისა.

მაგრამ ეტყობა, რომ მ. ს. „ნდობ"—ის მტრებს არ ძინავთ; ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე ძირი გამოუთხარონ ამ ერთად-ერთს იჯერეთ ნორჩ ხალხურ დაწესებულებას. ამ მიზნით მათ თავისკენ გადმოუბირებიათ „სახალხო საქმე", რომლის გვერდზე ვკითხულობთ შემდეგს: „კოოპერატივ „ნდობა"—მ გაუცრუა იმედი წვრილ დემოკრატიას—სოფლის მუშებს—და უფრო მსხვილი დემოკრატიის ადგილობრივი ბურჟუა-ვაჭრების და სპეკულიანტ-ჩარჩების სრული ნდობა დაიმსახურა. გლეხებს აწვდის ფხვნილ, უკანასკნელი ხარისხის შაქარს, მაშინ როდესაც ქალაქის მცხოვრებნი სატეხ, პირველი ხარისხის შაქარს არ სჯერდებიან". და თან კითხვას სვამს ავტორი: „განა ასეთია კოოპერაციის იდეა"?

მკითხველი ქვემოთ აშკარათ დაინახავს, რომ კოოპერაციის მტრების მიერ მოქნეული შოლტი ისევ მათ ეცხუნება.

ვინც სადღეისო სინამდვილეს ორივე თვალებით თუ არა, ცალი თვალით მაინც უცქერის, მან იცის, რომ რაც სასურსათო კომიტეტები შემოიღეს, მას აქეთ კოოპერატივები საკუთარი ინიციატივით შაქარს ვერ ღებულობენ. ცხადია, რომ მ. ს. „ნდობა"-ც იმავე პირობებშია, როგორც სხვა კოოპერატივები. სამაზრო სასურსათო კომიტეტმა რაც მისცა „ნდობა"-ს შაქრის სახით, ის გაუნაწილა გამგეობამ მხოლოდ თეკლათის საზოგადოებას, როგორც წევრს, ისე არაწევრსაც, იმავე სასურსათო კომიტეტის დავალებით. ხოლო ქალაქის მცხოვრებლებს შაქრით აკმაყოფილებს ქალაქის სასურსათო კომიტეტი, რომელსაც ცალკე სავაჭრო დუქანი აქვს ამისთვის გახსნილი.

აქედან ყოველი ჯანსაღად მოაზროვნე მკითხველი ნათლად დაინახავს რომ ჩვენი კოოპერაციის წევრების, განსაკუთრებით დემოკრატიის დიდი ნაწილის რწმენას, ოდნავათ მაინც ვერ შეარყევს კოოპერაციის იდეის სრულმყოფელობაში და ამ მხრით „ნდობ"-ის უაღრეს მნიშვნელობაში.

**ლომხეთელი**

## პროვინცია.

**დ. ტყიბული.** 3 ივლისს, ოთხშაბათს საღამოს მივიღეთ ცნობა რომ, ხრესილის სადგური ბოლშევიკურმა ბრბომ დაიკავა და ემზადებიან მაღაროებზე დასასხმელადო.

იმ წუთსვე მოხდა მუშათა საბჭოს სასწრაფო სხდომა და მცირე თათბირის შემდეგ გადაწყდა მაღაროებში საალყო წესების გამოცხადება, რომ ბოლშევიკურ აგიტაციას ნიადაგი არ ქონოდა. მცირედი რაზმი იარაღით გაეშურა სადგურისაკენ.

დანამდვილებითი ცნობები ხელთ არა გვქონდა. ამბობდენ ბოლშევიკები ლეჩხუმიდან გადმოვიდენ და ქუთაისისაკენ გაეშურენო ვერც უკან დაბრუნებულმა მატარებელმა მოგვიტანა სწორი ცნობები.

ხრესილიდან თუმცა გველაპარაკებოდენ ტელეფონით, მაგრამ ჩვენ მათი ლაპარაკი საეჭვოთ მიგვაჩნდა, ვინაიდან შესაძლო იყო, რომ ტელეფონი მეამბოხეთა ხელში ყოფილიყო.

არ ვიცოდით რა ბედი ეწია იმ საბარგო მატარებელს, რომელიც მეამბოხეთ ჩაუვარდათ ხელში იმ ღამითვე. შიკრიკი ვაფრინეთ ქუთაისში, რომ ყოველივე დაწვრილებით ეცნობებიათ ქალაქისათვის. თანვე რაც შეიარაღებული ძალა გაგვაჩნდა გავგზავნეთ საწირეში, რომ გაგვეგო საით აპირებდა ბრბო წასვლას და იმ შემთხვევაში თუ ტყიბულისკენ წამოვიდოდენ რკინის გზის ლიანდაგი გვეყარა.

ღამის თორმეტ საათზე ჩვენი რაზმი უკვე საწირეში იყო. ხრესილის ამბები დანამდვილებით კიდევ ვერ გავიგეთ.

მეორე დღეს დილით რაზმი გაეშურა ხრესილისაკენ როდესაც სადგურს დაუახლოვდა ცნობა მივიღეთ, რომ ხრესილში უკვე ჯავშნოსანი მატარებელი მოვიდა.

გამოირკვა, რომ მეამბოხეებს ხელმძღვანელობს ცნობილი ავაზაკი მორჩაძე. ჯავშნოსან მატარებელს რამოდენიმეჯერ გაესროლა ზარბაზანი იმ ადგილს, სადაც მეამბოხეებს რკინის გზის ლიანდაგი გაეფუჭებიათ.

ხრესილიდან მათ წაეღოთ იარაღი რომელიც მილიციონერებისთვის აერთმიათ. უბნის კომისარი ამ დროს ქუთაისში ყოფილიყო წასული.

ჯავშნოსანი მატარებელი მოვიდა ტყიბულში და ისევ გამობრუნდა იმავე დღესვე კურსების მახლობლად. მეამბოხეებს რკინის გზის ხიდისთვის ცეცხლი წაეკიდებიათ.

პარასკევისთვის გზა უკვე აღდგენილი იყო

შაბათს, თუმცა დაგვიანებით სამგზავრო მატარებელიც მოვიდა.

კვირას უკვე ჩვეულებრივ დროს ძოდის მატარებელი და ნახშირის გაზიდვაც დაიწყო. ამ რიგად ტყიბულის ლიანდაგზე მოძრაობა განახლდა.

თვით ტყიბულში ყოველგვარი ზომები მიღებულია, რომ ბოლშევიკური თავდასხმა აცილებულ იქნას.

ხალხი სრულებით არ თანაუგრძნობს ბოლშევიკებს, მათ ოკრიბის მხარეში არასოდეს არ ქონიათ ნიადაგი და არც ექნებათ.. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მორჩაძის ბრბო მალე ჩაუვარდება მთავრობას ხელში და აჯანყებაც სამუდამოთ ჩაქრება.

**ხალხოსანი**

**რაჭა** (ნამანევის საზოგადოება), კომისრის მოკვლა. თორმეტ მაისში (ახალი სტილით) სოფელ თხმორში მოკლეს ნამანევის საზოგადოების კომისარი ტარასი გიგოსძე ნასირაძე. ეს ყოვლათ საზიზღარი ვერაგული მკვლელობა მომხდარა ამნაირათ: ძველი, დადებული ჩვეულების თანახმათ, სოფელ თხმორში სცოდნიათ ახალ კვირის დღესასწაული. ტარასი ნასირაძე ყოფილა მიწვეული ამ სოფელში თავის ცოლის მშობლებთან; მასთან სტუმრათ წაუყვანია თავის ბიძაშვილი გიორგი ლუკასძე ნასირაძე (ეს კომისარი სოფელ ზედა შავრელია) კვირას, როდესაც მათ ერთად უსაუზმიათ, შემდეგ ეკლესიაზე გასულან. სადილათ გიორგი ნასირაძე გაუწვევია იმ სოფლისვე მცხოვრებ გიორგი გიორგობიანს. სადილის შემდეგ, დაღამებულს, გ. ნასირაძე და გ. გიორგობიანი ერთად მისულან კომისარი ნასირაძის მასპინძელთან. აქ უთანხმოება მოსულიათ.

გ. ნასირაძე მოტყუვილებით გამოიხმობს კომისარს ეზოში და იქვე ხანჯლით სიცოცხლეს უსპობს მას. ამ ამბავმა თავზარი დასცა მთელ საზოგადოებას. მკვლელი ხალხმა დაატუსაღა. ამ მკვლელობის მომწყობი გიორგი გიორგობიანი კი გაიქცა. დაკრძალვა მიცვალებულის მოხდა თუთხმეტ მაისში. არჩეულ იქნა საბჭო ათი კაცისგან შემდგარი, აგრეთვე რევოლიუციონური ტრიბუნალი ხუთი კაცისგან შემდგარი, რომელსაც გადაეცა გამოსაძიებლათ და გასასამართლებლათ მკვლელი. საბჭო და რევოლიუციონური ტრიბუნალი შეუდგა დაუყონებლივ მუშაობას. ამ დღესვე არჩეულ იქმნა კომისრათ სამსონ ფოფხაძე სოფელ ხონჭიორიდან.

**რაჭველი.**

### მიქელგაბრიელის საზოგადოება (ქ. გურია.)

ბათუმის დაცემის შემდეგ მიქელგაბრიელის სოც.- რევოლიუციონურ ორგანიზაციაში მუშაობა ისე მიდუნდა, რომ მხოლოდ 8 ამა ივლისს მოხერხდა პარტიულ კრების მოწვევა. კრება ეხლაც მცირე რიცხოვანი იყო, ვინაიდან პარტიულ ამხანაგების დიდი ნაწილი დღესაც ჯარში ითვლება. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. კ. ქინქლაძე, მდივნად—ი. წ—ვა. თავმჯდომარემ კრებას აუწყა ჩვენი ბელადის ვლ. გობეჩიას ტრაღიკულად დაკარგვა, მოკლედ განმარტა განსვენებულის ვინაობა და ის თუ რა დანაკლისი ნახა პარტიამ და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მისი ხსოვნისათვის, რაც შესრულებულ იქმნა. თავისს მხრივ ორგანიზაცია უზომო მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ძალთა დაქსაქსვის გამო ვერ მოხერხდა განსვენებულის დაკრძალვაზე წარმომადგენელის გაგზავნა და გლოვის ხმას უერთებს პარტიის ამ მძიმე დანაკარგში. შემდეგ კრება შეუდგა დღიურ წესრიგის განხილვას. სამაზრო კონფერენციის დელეგატი ამხ. ივ. ღლონტი კრებას განსახილველად უყენებს რამდენიმე საკითხს, რომელთა შორის ხანგრძლივ კამათს იწვევს საერობო არჩევნების გარშემო შექმნილი მდგომარეობა. როგორც გამოირკვა, მენშევიკები თანახმა არიან არჩევნებში სამივე სოციალისტურ პარტიების ბლოკისა და ამ შემთხვევაში ნახევარ ადგილს ერობებში თავისათვის იტოვებენ. კრებამ მენშევიკებთან ბლოკი სასურველად ვერ იცნო და სურვილი გამოსთქვა, რათა არჩევნებში შეთანხმება მოხდეს მხოლოდ სოც.- ფედერალისტებთან.

მას შემდეგ, რაც სოციალისტურ პარტიების შეთანხმება ფაქტად იქცა, ვფიქრობდით, რომ ესდეკების ადგილობრივი ორგანიზაცია ისეთს საკითხს, როგორიცაა ანარქიასთან ბრძოლა, სეპერატიულად არ გადასწყვეტდა და ჩვენს ორგანიზაციასაც დაიხმარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამას წინად, როცა სახალხო გვარდიისათვის კაცები მოითხოვეს, მენშევიკებმა მიტინგი მოაწყვეს და გასაგზავნი კაცებიც აირჩიეს; ჩვენს ორგანიზაციას კი არაფერი აცნობეს, თუმცა უნდა სცოდნოდათ, რომ ჩვენც საქმისათვის სასარგებლო ვიქნებოდით. კრებამ ერთხმად დაადგინა მხურვალე დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას ანარქიასთან ბრძოლაში და აგრეთვე ეცნობოს მენშევიკურ ორგანიზაციას, თუ ვინიცობაა შემდეგში ანარქიასთან ბრძოლის საკითხი დაისმება, წინდაწინ აცნობონ ჩვენს ორგანიზაციას, რათა მათთან ერთად ჩვენც გვქონდეს საშვალება მონაწილეობა მივიღოთ ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტაში.

დასასრულ მოხდა ორგანიზაციის კომიტეტის წევრების არჩევნები. არჩეული არიან: კ. ქინქლაძე, იწ.—ვა და ივ. ღლონტი.

**პილპილა.**

I.

**ქ. სენაკი.** 7 ივლისს ქ. ახალსენაკში შესდგა დამფუძნებელი კრება სენაკის რაიონის (რომელშიაც შედის აგრეთვე ზუგდიდის მაზრის ზოგიერთი კოოპერატივები) კოოპერატივთა კავშირის დასაარსებლად.

კავშირის გახსნის საკითხი კარგახნის მომწიფებული იყო და ამიტომ დამფუძნებელი წევრთა მოწოდებას პროვინციელი კოოპერატივები უმალ გამოეხმაურნენ. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი კოოპერატივების წარმომადგენელთა და დაარსდა სენაკის რაიონის კოოპერატივთა კავშირი, რომელსაც ეწოდა „ხალხის სიმაგრე."

აირჩიეს გამგეობა სამი კაცისაგან და სარევიზიო კომისია ოთხისაგან. გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ამხ. ვარლამ ლომია, სოლომონი ადანაი და ლუკა დავითაია. სარევიზიო კომისიაში: ნესტორი ჭითავა, მიხეილი კეკელია, დავითი ქობალავა და დ. ქუჩულორია.

აღსანიშნავია, რომ კრებამ აირჩია როგორც გამგეობაში, ისე სარევიზიო კომისიაში სანდო პირები და ერთგული მუშავნი, და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ისინიც არ გაუცრუებენ იმედებს თავის ამომრჩეველთ და თავის მოვალეობას ხალხის წინაშე შეასრულებენ პირნათლად და კეთილსინდისიერად.

II.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ახალსენაკის ბედზედაც იმოქმედა: იგი რევოლიუციის პირველ ხანებში ქალაქად გამოცხადდა. მაგრამ ნათქვამია—„მიძღეული პური ძაღლმა არ ჭამაო",—და ეს ზეგამოჭრილია სენაკელ ვაჭრებზე.

თუ ქ. ახალსენაკის ვაჭრების წარსულ „მოღვაწეობას" თვალებს გადავავლებთ,—დავინახავთ, რომ. მიუხედავათ იმისა, რომ თვით სენაკის მდებარეობა და სხვა პირობებში ხელს უწყობდა მის კულტურულად აყვავებას, მათი, ვაჭრების, წყალობით, ყოველგვარი საზოგადო და საულტურო საქმის გაკეთება მუდამ მარცხით თავდებოდა, ვინაიდან ისინი ერთი კაპეიკის ჯიბიდან ამოღებას საზოგადო საქმისთვის ისე უყურებდნენ, როგორც საკუთარი ხელებით თავისთვისვე სამარის გათხრას.

მით უმეტეს რევოლიუციამ ვერ შესძლო ძუნწი ვაჭრების [illegible] გარდაქმნა. იმ დროს, როდესაც ჩვენი მუშები პოზიციებზე სისხლით იცლებოდნენ, ომის საჭიროებისათვის გადასახადების გაწერამ მოთმინებიდან გამოიყვანა აქაური ჩარჩები და აი კიდეც გაფაციცებით ემზადებიან თხოვნით მიმართონ მთავრობას, რომ ქ. ახალსენაკი გამოირიცხოს ქალაქთა სიიდან. ასეთი განწყობილებაა სენაკელ ვაჭრების შორის...

ჩვენი ვალია მძლავრი კონტრ-იერიშით შეხვდეთ შავი ძალების გამოლაშქრებას და ბნელეთის მოციქულებს ღირსეული პასუხი გავცეთ!

III

—სენაკის მაზრაში ამ ბოლო დროს ყაჩაღობა გახშირდა, მაგრამ საბედნიეროდ, ყაჩაღები ჯერჯერობით მარცხდებიან. ქ. ახალსენაკის ახლობელ სოფელში მოკლულ იქნა ი. სარია და საქვალონში კი ალექსანდრია.

—მთელს მაზრაში წელს სიმინდი საუცხოვოა; მოსალოდნელია საშუალოზე მეტი მოსავალი, თუ აწი ავდრებმა საქმე არ გააფუჭეს. დამშეულ ხალხს ის ღა შერჩენია, რომ მომავლის იმედით თავი ინუგეშოს...

—ფუთი სიმინდის ფქვილი ბაზარზე 110 მანეთი ფასობდა.

**ხა—ა.**

**ტყიბული.** 9 ივლისს, დილით, ტყიბულის მაღაროებს მოულოდნელად თავს დაესხა ცნობილ ავაზაკ მორჩაძის ბრბო, რომელმაც თვით მორჩაძე ხელმძღვანელობდა.

დაჰჭრეს ტელეგრაფის მავთული; შევიდენ ახალ მაღაროებში, წაიღეს იქიდან საველე ტელეფონები, გაიძღოლიეს წინ მუშები და გაეშურენ მეორე მაღაროებისაკენ. ჩვენმა მილიციამ სროლა აუტეხა ბრბოს, მაგრამ ვინაიდან ავაზაკები იფარებდენ უდანაშაულო მუშებს, წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი შეიქნა და ჩვენმა რაზმა უკან დაიხია აღმოსავლეთის მხრით. სროლის დროს დაიჭრა მუშა მეთოდე ქათამაძე.

ბრბო შეესია მაღაროებში მცხოვრებლებს და შეუდგა ძარცვას. წაიღეს იარაღი, დინამიტები, ოქროს ნივთები და ფული.

საჩქაროდ იქნა გამოძახებული ჯავშნოსანი. ვიდრე ჯავშნოსანი მოვიდოდა, მაშველმა ჯარმაც მოაწია, მას შეუერთდა ჩვენი რაზმი და გამაგრდა ლაღარის მთაზე, რომელიც უნდა გადაევლო ბრბოს უკან გამობრუნებისას. მალე გამოჩნდა მტერი, მაგრამ აქაც ხელი შეგვიშალეს გარეშე პირებმა. თავზარდაცემული მუშები გარბოდენ ტყესა და ღრეში, აქაც მტერმა მუშები იხმარა საფარად.

ჩვენმა ჯარმა მტერს სროლა აუტეხა; იქიდანაც სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. მალე ჯავშნოსანიც მოვიდა და ზარბაზნით სროლა ასტეხა. ბრბო ტყეში გაიფანტა. ჩვენის მხრით არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. ავაზაკთაგან, როგორც მნახველები გადმოგვცემენ, საკმაოდ უნდა იყოს დაჭრილი, მაგრამ დაჭრილები ცხენებით წაუყვანიათ თავის ამხანაგებს. ადგილობრივ რაზმს უნდოდა ფეხდაფეხ ესდია მტრისათვის, ვიდრე სავსებით არ შემუსრავდა, მაგრამ მოსულ ჯარისკაცების უმფროსი ამაზე არ დაგვეთანხმა, ვინაიდან ჯარს სურსათი არა ქონდა თან. ჩვენ კი, მტერზე რიცხვთან შედარებით, ძლიერ მცირე ვიყავით და იძულებული შევიქენით ჩვენს განზრახვაზე ხელი აგვეღო.

ამჟამად მაღაროებში ჯარი სდგას ტყვიისმფრქვეველებით, მუშაობა ისევ განახლდა, მუშები უბრუნდებიან თავის სამუშევარს.

დაწვრილებით ცნობებს მოგაწვდით.

**ხალხოსანი.**

**რედაქტორი სარედაქციო კოლეგია გამომცემელი ცენტრალური კომიტეტი.**

## განცხადება.

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა,**

თანახმად ამ განყოფილების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა, სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც ახალ-სენაკის ბიბლიოთეკიდან გატანილი აქვთ სახლში საკითხავად წიგნი და დაწესებულ ვადაზე არ დაუბრუნებიათ, კეთილ ინებონ და დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, არა უგვიანეს ორი კვირისა წარმოადგინონ ბიბლიოთეკაში მათ მიერ გატანილი წიგნი, ან და გადაიხადონ ამ წიგნის ეხლანდელი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ვინაობა გამოცხადებულ იქნება პრესაში და აგრეთვე მათი სიაც გაკრული იქნება ბიბლიოთეკაში.

გამგეობის თავმჯდომარე **ალ. ხოფერიძე.** მდივანი მღ. **გ. გამზანელი**

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა, გოლოვინის ქუჩა № 26